*დანართი 4*

**შპს უსაფრთხოების აკადემია**

**<u>დამტკიცებულია:</u>**

კოლეჯის საბჭოს თავმჯდომარე:

დავით მაზმიშვილი

08/02/ 2024 წ.

# სამოქმედო გეგმა

# 2024-2025

თბილისი 2024

## შესავალი

კოლეჯი „შპს უსაფრთხოების აკადემია“ უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომლის ძალისხმევა მიმართულია: უზრუნველყოს შრომის ბაზარზე შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების დეფიციტის დაძლევა და შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება; განუვითაროს სტუდენტს კრიტიკული, ინოვაციური და შრომი უსაფრთხოების დაცვაზე ორიენტირებული აზროვნება, რაც სახელმწიფოს და საზოგადოების განვითარებასა და შრომის უსაფრთხოების კულტურის ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია

სტრატეგიული განვითარების გეგმის (2024-2031) საფუძველზე კოლეჯმა ჩამოაყალიბა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც ასახავს დასახული მიზნების მიღწევის გზებსა და საშუალებებს ერთწლიან პერიოდში.

სამოქმედო გეგმაში გაწერილია კოლეჯის საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანად წარმართვის მიზნით 2024-2025 წლებში გასატარებელი ღონისძიებები.

**1. კოლეჯის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები 2024-2031 წლებში**

1. 1. თანამედროვე ინფრასტრუქტურით, ინფორმაციული ტექნოლოგიებით და სასწავლო რესურსით უზრუნველყოფილი საგანმანათლებლო გარემოს განვითარება;
1. 2. შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება;
1. 3. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების განვითარება;
1. 4. კოლეჯის საზოგადოებაზე (სტუდენტები, პერსონალი) მიმართული სერვისების განვითარება;
1. 5. საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება;
1. 6. ეფექტური და გამჭვირვალე მმართველობის სისტემის განვითარება.

კოლეჯის სამოქმედო გეგმა შესაბამისობაშია მისი სტრატეგიული განვითარების გეგმით დასახულ მიზნებთან.

**2. ძირითადი ამოცანები 2024-2025 წლის პერიოდზე:**

2.1. ავტორიზაციის მოპოვება;
2.2. ახალი საგანმანათლებლო პროგრამის/ების შემუშავება და აკრედიტაციის მოპოვება;
2.3. საერთაშორისო თანამშრომლობის გაზრდა;
2.4. მართვისა და სწავლების ელექტრონული სისტემებისა და დისტანციური სწავლების ეტაპობრივი დანერგვა;
2.5. კოლეჯის პოპულარიზაციის ღონისძიებების გატარება.

**3. სამოქმედო გეგმა 2024-2025**

სამოქმედო გეგმა მოიცავს ინ სტრატეგიულ ამოცანებს რომლებიც დასახულია სამოქმედო გეგმის პერიოდზე და ასევე მოიცავს მოსალოდნელ შედეგებს როლებსაც უნდა მივაღწიოთ მოცემული ერთი წლის განმავლობაში.

| N | სტრატეგიული ამოცანა | მოსალოდნელი შედეგები |
|---|---|---|
| 1 | **სტრატეგიული მიზანი:** თანამედროვე ინფრასტრუქტურით, ინფორმაციული ტექნოლოგიებით და სასწავლო რესურსით უზრუნველყოფილი საგანმანათლებლო გარემოს განვითარება.<br>**სამოქმედო გეგმით განსახორციელებელი ღონისძიება:**<br>1.1. მართვის ელექტრონული სისტემის შემუშავება და გაშვება;<br>1.2. ელექტრონული სალექციო კურსების მომზადება;<br>1.3. ბიბლიოთეკის განახლება;<br>1.4. სტუდენტთა დამოუკიდებელი სამუშაო სივრცის მოწყობა;<br>1.5. რეკრეაციული ზონის მოწყობა;<br>1.6. კაფეს ოპტიმიზაცია;<br>1.7. სპორტული და შემოქმედებითი ღონისძიებების ჩატარება. | შემუშავდება და სატესტო რეჟიმში გაეშვება მართვის ელექტრონული სისტემა. შეიქმნება და სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი იქნება ელექტრონული სალექციო კურსები. კოლეჯის ბიბლიოთეკის ფონდს დაემატება ახალი ლიტერატურა. კოლეჯში მოეწყობა სივრცე სტუდენთა დამოუკიდებელი მუშაობისთვის.<br>კოლეჯში ფუნქციონირებს თავისუფალი დროის ორგანიზების კომპონენტი. ეწყობა სპორტული და შემოქმედებითი ღონისძიებები. |
| 2 | **მიზანი:** შრომის ბაზარზე მოთხოვნადი შრომის უსაფრთხოების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება<br>**სამოქმედო გეგმით განსახორციელებელი ღონისძიება:**<br>2.1. შრომის უსაფრთხოების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია;<br>2.2. მაღალი რისკის და სხვა რისკ კატეგორიების საწარმოო პროცესთან დაკავშირებული შრომის უსაფრთხოების საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და აკრედიტაცია;<br>2.3. მაღალი ხელმძღვანელი რგოლის მხრიდან შრომის უსაფრთხოების | კოლეჯში ფუნქციონირებს შრომის ბაზარზე მაღალმოთხოვნადი შრომის უსაფთხოების აკრედიტებული პროგრამები. კოლეჯი ახორციელებს მაღალი რისკის და სხვა რისკ კატეგორიების შრომით პროცესთან დაკავშირებული შრომის უსაფრთხოების საგანმანათლებლო პროგრამას. კოლეჯი ახორციელებს ხელმძღვანელი რგოლისთვის შრომის უსაფრთხოების ორგანიზება და მართვის სასერტიფიკატო აკრედიტებულ პროგრამას. ფართოვდება კოლეჯის საგანამანათლებლო შესაძლებლობები. |

| | | |
|---|---|---|
| | ორგანიზება და მართვის სასერტიფიკატო პროგრამის შემუშავება და აკრედიტაცია. | |
| 3 | **სტრატეგიული მიზანი:** ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების განვითარება.<br>**სამოქმედო გეგმით განსახორციელებელი ღონისძიება:**<br>3.1. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების სრულყოფაზე მიმართული სამუშაოს გატარება და თვითშეფასების პროცესის სრულყოფის მიზნით გარე ექსპერტების ჩართულობის უზრუნველყოფა;<br>3.2. სასწავლო პროცესის მართვის ერთიანი ელექტრონული სისტემის დანერგვა;<br>3.3. პერსონალის უწყვეტი განათლების კომპონენტის ფარგლებში ტრენინგების ჩატარება (სწავლებისა თანამედროვე მეთოდების, სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასების მეთოდების და სხვ. საკითხებზე);<br>3.4. საერთაშორისო აკრედიტაციის სტანდარტების შესწავლა, სამიზნე ნიშნულების გამოკვეთა და სამუშაო ჯგუფის ორგანიზება;<br>3.5. თანამედროვე საგანმანათლებლო მეთოდების დანერგვა (სიმულაციებისა და ვირტუალური მოდელების გამოყენება);<br>3.6. სადიპლომო და სხვა ნაშრომთა პლაგიატის წინააღმდეგ მექანიზმების განვითარება. | კოლეჯი ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების სრულყოფაზე მიმართულ სამუშაოს, სრულყოფს შიდა შეფასების მექანიზმს და პროცედურას. ატარებს გამოკითხვებს და ერთწლიანი პერიოდის ანგარიშს. უზრუნველყოფს შეფასების უკუკავშირს. კოლეჯში ფუნქციონირებს სასწავლო პროცესის მართვის ერთიანი ელექტრონული სისტემას.<br>კოლეჯის პერსონალი ღებულობს უწყვეტ განათლებას. კოლეჯი გამოკვეთს საერთაშორისო აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებს და ამტკიცებს საერთაშორისო აკრედიტაციის სამუშაო ჯგუფს. კოლეჯი სასწავლო პროცესში ნერგავს სიმულაციურ-ვირტუალური მოდელების გამოყენებას; კოლეჯი ნერგავს ნაშრომის პლაგიატის წინააღმდეგ მიმართულ მექანიზმებს. |
| 4 | **სტრატეგიული მიზანი:** კოლეჯის საზოგადოებაზე (სტუდენტები, პერსონალი) მიმართული სერვისების განვითარება.<br>**სამოქმედო გეგმით განსახორციელებელი ღონისძიება:** | |

| | | |
|---|---|---|
| | 4.1. კოლეჯის საზოგადოების (სტუდენტები,პერსონალი) სერვისების საჭიროების შესწავლა, ასეთი სერვისების განვითარების მექანიზმების შემუშავება და დანერგვა. | კოლეჯი შეისწავლის კოლეჯის საზოგადოების (სტუდენტების, პერსონალის) საჭიროებებს და განსაზღვრავს ამ მიმართულების სერვისების სამიზნე კატეგორიებს, ნერგავს და ავითარებს სერვისების სისტემას. |
| 5 | **სტრატეგიული მიზანი:** საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება.<br>**სამოქმედო გეგმით განსახორციელებელი ღონისძიება:**<br>5.1. საგანმანათლებლო პროცესსა და საგანმანათლებლო პროგრამებში საერთაშორისო კომპონენტის განვითარების სტრატეგიის შემუშავება;<br>5.2. სასწავლო პროგრამებში უცხო ენის სწავლების გაძლიერება;<br>5.3. პერსონალის უწყვეტი განათლების კომპონენტში უცხო ენების სწავლების გაძლიერება;<br>5.4. ახალი კონტაქტების დამყარება და საერთაშორისო პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის გაფართოვება;<br>5.5. უცხოელი მასწავლებლების (ტრენერების) მოწვევა;<br>5.6. სტუდენტთა და თანამშრომელთა საერთაშორისო აქტივობების ხელშეწყობა;<br>5.7. უცხოენოვანი სასწავლო პროგრამების შემუშავება; | კოლეჯში მოქმედებს საგანმანათლებლო ფუნქციონირების საერთაშორისო კომპონენტი.<br>კოლეჯში ფუნქციონირებს უცხო ენის კომპეტენციის განვითარების პოლიტიკა და ქმედითი მექანიზმი.<br>კოლეჯი ახორციელებს საერთაშორისო პარტნიორობას და გამოცდილების გაზიარებას. კოლეჯი ავითარებს როგორც სტუდენტების, ისე პერსონალის ენობრივ უნარებს. |
| 6 | **სტრატეგიული მიზანი:** ეფექტიანი და გამჭვირვალე მმართველობის სისტემის განვითარება.<br>**სამოქმედო გეგმით განსახორციელებელი ღონისძიება:**<br>6.1.მმართველობის სისტემის თავსებადობის უზრუნველყოფა მოწინავე მიდგომებთან და გამოწვევებთან. | კოლეჯს აქვს ეფექტიანი მმართველობის მოწინავე მიდგომებთან და არსებულ გამოწვევებთან თავსებადი და გამჭვირვალე მმართველობის სისტემა.<br>კოლეჯი ახორციელებს მენეჯერული რგოლის უწყვეტ განათლებას თანამედროვე გამოწვევებთან თავსებადი მართვის სისტემების პრობლემატიკაზე.<br>კოლეჯში მოქმედებს თანამედროვე მმართველობითი სისტემების |

| | | |
|---|---|---|
| | 6.2. მმართველი სტრუქტურების პერსონალის უწყვეტი განათლება თანამედროვე მართვის საკითხებზე. | ღირებულებებზე დამყარებული მმართველობის სტრუქტურის შეფასებისა და ცვლილებების მექანიზმი. |